



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია  
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია  
**განკარგულება №155/2018**

საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისათვის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების (პარტიის), ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი პრეზიდენტობის კანდიდატისათვის მხარდამჭერთა ხელმოწერების მინიმალური ოდენობის დადგენის თაობაზე

ქ. თბილისი

2018 წლის 1 აგვისტო

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „3“ ქვეპუნქტის, 97-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 99-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

**მუხლი 1.** საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისათვის მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების (პარტიის), ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენა დადასტურებული უნდა იყოს არანაკლებ 25 923 (ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 0.75 პროცენტი) ამომრჩევლის ხელმოწერით.

**მუხლი 2.** ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

**მუხლი 3.** ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე

თამარ ჟვანია

კომისიის მდივანი

გიორგი ჯავახიშვილი

